პროექტი მოამზადა: University Research Co. Representation in Georgia
შეთანხმებულია პოლიტიკისა და ადვოკატირების კომიტეტთან, 2018 წლის 29 მარტს

# ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგია 2019-2022

**სტრატეგიის ჩარჩო**

სტრატეგიის ჩარჩო განსაზღვრავს ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტის ძირითად სტრუქტურულ ელემენტებს. ჩარჩოში წარმოდგენილი სტრატეგიული ამოცანები და ინტერვენციები შესაბამისობაშია საქართველოში ტუბერკულოზის კონტროლის გამოწვევებთან, ასევე სრულად ითვალისწინებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის „დავასრულოთ ტუბეკულოზი“ (END TB)[1] სტრატეგიულ მიმართულებებს, ასევე გლობალური ფონდისა და პარტნიორობა „შევაჩეროთ ტუბერკულოზის“ პრიორიტეტებს.

სტრატეგიის ჩარჩო მომზადდა შემდეგი დადგენილებების საფუძველზე

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება #327 ტუბერკულოზის კონტროლის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე (11 ივლისი, 2016 წელი)
2. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის #629 დადგენილებასთან პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტის „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ დამტკიცების თაობაზე.

## სტრატეგიის დოკუმენტის სტრუქტურა და პრიორიტეტული სფეროები

აკრონიმები

შესავალი

**1. არსებული სიტუაციის ანალიზი**

1.1 საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი

1.2 ტუბერკულოზის ტვირთი საქართველოსთვის

1.3 ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის ორგანიზება

1.4 ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის ძირითადი მიღწევები

1.5 ტუბერკულოზის კონტროლი: ძირითადი გამოწვევები

**2. სტრატეგიის მიზანი, სამიზნე მაჩვენებლები, პრინციპები**

**3. სტრატეგიული ამოცანები და ინტერვენციები**

---

[1]. Global strategy and targets for tuberculosis prevention, care and control after 2015, http://www.who.int/tb/post2015_strategy/en/

- **ამოცანა 1. ადრეულ და ხარისხიან დიაგნოსტიკაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ფორმის, მათ შორის M/XDR ტუბერკულოზისთვის**

სტრატეგიული ინტერვენციები:

1. DR ტუბერკულოზის სწრაფი მოლეკულური დიაგნოსტური ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა
2. ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა რეგიონულ და ეროვნულ დონეზე
3. კონტაქტების გამოკვლევა, სკრინგი და შემთხვევების აქტიური გამოვლენა მაღალი რისკის ჯგუფებში, მმ აივ. პოზიტიურ პირებში
4. ლაბორატორიული ქსელის ოპერირების ხელშეწყობა

**ამოცანა 2. ხარისხიანი მკურნალობის საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ფორმის, მათ შორის M/XDR ტუბერკულოზისთვის პაციენტის სათანადო მხარდაჭერით**

სტრატეგიული ინტერვენციები:

1. ტუბ-საწინააღმდეგო პრეპარატების მოწოდება და წამლის მენეჯმენტის სისტემა
2. პაციენტების მხარდაჭერა ტუბერკულოზის სამკურნალო რეჟიმის დაცვის გასაუმჯობესებლად
3. მკურნალობის მონიტორინგი, წამლის გვერდითი რეაქციების და თანმხლები დაავადებების მართვა
4. ინფექციის კონტროლი სამედიცინო დაწესებულებებში
5. პრევენციული მკურნალობა და ვაქცინაცია
6. ტბ დაწესებულებების ფუნქციონირების მხარდაჭერა

მეორე ამოცანის ფარგლებში სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შედეგ საკითხებს:

- *M/XDR ტუბერკულოზის მკურნალობის ხარისხი (ახალი მედიკამენტები, მოკლე სქემები)*
- *M/XDR ტუბერკულოზის სამკურნალო მედიკამენტების (განსაკუთრებით ბედქილინი და დელამანიდი) უსაფრთხო მოხმარებაზე აქტიური მონიტორინგი*
- *დამყოლობის ხელშეწყობის ახალი მოდელები (ვიდეო ტექნოლოგიები, სათემო ორგანიზაციების ჩართულობა და ა.შ.)*
- *ტბ ამბულატორიული სერვისების ფუნქციონირების ხელშეწყობა-კერძო-სახელმწიფო პარტნიორობის კონტექსტში*

**ამოცანა 3. მხარდამჭერი გარემოს და სისტემების შექმნა ტუბერკულოზის ეფექტური კონტროლის მიზნით**

1. ჯანდაცვის სისტემების გაძლიერება (მმართველობა, ადამიანური რესურსი, საინფორმაციო სისტემები, დაფინანსება, მომსახურების მოდელი, ეთიკური და საკონანმდებლო ასპექტები)- ამ ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა

ჯანდაცვის სისტემის გაძლიერების ღონისძიებებს რაც მიმართული იქნება პიროვნებაზე ორიენტირებული სერვისების გაძლიერებისა და დაფინანსების მექანიზმების სრულყოფისკენ.

2. პროგრამის მონიტორინგი, სუპერვიზია და შეფასება
3. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, ადკოკაცია, კომუნიკაცია და სოციალური მობილიზაცია
4. კვლევები ტუბერკულოზის კონტროლის გაუმჯობესებისთვის

4 სტრატეგიის განხორციელებისა და მართვის მექანიზმები

5 ტუბერკულოზის კონტროლის ღონისძიებების დაფინანსება

5.1 სახელმწიფო დაფინანსება

5.2 საერთაშორისო დაფინანსება

5.3 დაფინანსების საჭიროების გაანგარიშება

5.4 მდგრადობა და გარდამავალი პერიოდის მართვა

6 სტრატეგიის განხორციელების პროცესში და მის შედეგად წარმოქმნილი შესაძლო რისკები

7 მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები

დანართი 1. მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო

დანართი 2 ტუბერკულოზის კონტროლის წლების სტრატეგიის განხორციელების გეგმა

- ახალი გეგმის განხორციელების პერიოდია 2019-2022, სამოქმედო გეგმა გაიწერება სრული პერიოდისთვის

# სტრატეგიის მომზადების გეგმა: ეტაპები და ვადები

სტრატეგიის მომზადებისთვის კონსულტანტი უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის მომზადების პროცესის დაგეგმვას, ტექნიკური პროცესის ხელმძღვანელობას და კოორდინაციას საბოლოო პროდუქტის მომზადების ჩათვლით (პირველადი პროექტის და საბოლოო დოკუმენტის მომზადება). სტრატეგიული გეგმის მომზადების დაგეგმვა და კოორდინაცია მოხდება ქსს-თან, PAAC თან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და დკსჯეც-თან შეთანხმებით. სტრატეგიის მომზადების პროცესში ჩატარდება ინტენსიური კონსულტაციები შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის, ტუბერკულოზის კოალიციის წარმომადგენლებთან.
სტრატეგიის შემუშავების ეტაპები შემდეგია:

<u>ა)სიტუაციური ანალიზი:</u> პროგრამის შეფასება, წარმატებული ღონისძიებების გამოყოფა, პროგრამული და დაფინანსების ღიობების დადგენა და ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრა;
<u>ბ)გეგმის პროექტის მომზადება:</u> ეს მოიცავს სტრატეგიული გეგმის ცალკეული კომპონენტების განხილვას და შესაბამისი პრეზენტაციის მომზადებას პროცესში მონაწილე შესაფერისი მხარეების და ეროვნული კონსულტანტებთან თანამშრომლობით. ეს დასრულდება სტრატეგიული გეგმის პროექტის მომზადებით. სტრატეგიულ გეგმის პროექტი მოიცავს შემდეგ აუცილებელ კომპონენტებს:

(i) საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი
(ii) პროგრამული მიღწევები და ღიობების ანალიზი თითოეული მიმართულებისათვის;
(iii) სპეციფიკური ამოცანები და სამიზნეები;
(iv) ამოცანების შესაბამის ღონისძიებების ჩამონათვლი;
(v) ღონისძიებების განხორციელების მიდგომები (პასუხისმგებელ ორგანიზაციებს, მათი როლის გაწერით, განსაკუთრებით საგრანტო პროგრამების გადაბარების საჭიროებების გათვალისწინებით);
(vi) საჭირო დაფინანსების შეფასება და დაფინანსების ორ ძირითად წყაროს შორის - გლობალური ფონდი და სახელმწიფო ბიუჯეტი მათი გადანაწილების განსაზღვრა;
(vii) მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო. სტრატეგიული გეგმის პროექტის ექსპერტიზა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოხდება URC-ის სათაო ოფისის მიერ დადგენილ ვადებში.

გ) <u>სტრატეგიული გეგმის საბოლოო ვერსიის მომზადებას:</u> სტრატეგიული გეგმის საბოლოო ვერსია მომზადდება, როგორც ინგლისურ ასევე ქართულ ენებზე.
დ) <u>სტრატეგიული გეგმის დეტალური ბიუჯეტის</u> მომზადებას დაფინანსების წყაროებისა და დარჩენილი ღიობების მითითებითა და გლობალური ფონდის პროგრამების მდგრადობისა და გადაბარების საჭიროებების გათვალისწინებით;
ე) სტრატეგიული გეგმის თანხმლები <u>მონიტორინისა და შეფასების ჩარჩოს</u> შემუშავებას;

პროექტი მოამზადა: University Research Co. Representation in Georgia
შეთანხმებულია პოლიტიკისა და ადვოკატირების კომიტეტთან, 2018 წლის 29 მარტს

სამინისტროსა და დკსჯეც-ის მოთხოვნით, სტრატეგიის დოკუმენტის ჯანმოს მიერ რევიზიის შემთხვევაში, კონსულტანტი უზრუნველყოფს სტრატეგიის საბოლოო ვერსიაში ჯანმოს ექსპერტების მიერ რეკომენდებული ცვლილებების ასახვას.




## ფაზა I

1. ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესის განხორციელების დროში გაწერილი გეგმის შემუშავება
2. ეროვნული სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა ეროვნულ ექსპერტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებით;
3. სტრატეგიული გეგმის ჩარჩოს შემუშავება შეთანხმებული პრიორიტეტული მიმართულებებისა და ამოცანების შესაბამისად;
4. სტრატეგიული გეგმის ჩარჩოს შეთანხმება PAAC-სა და ქსს-თან (ელექტრონულად ან

## ფაზა II

1. სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავება, წინასწარი ბიუჯეტით
2. გეგმის პროექტის PAAC -ის წევრებთან წარდგენა და შეთანხმება (ჩატარებულ სხდომაზე)
3. PAAC ის კომენტარების ასახვა გეგმის პროექტში
4. გეგმის პროექტის ქსს-სთვის წარდგენა (სხდომაზე)
5. გეგმის პროექტის ქსს-ს კომენტარების ასახვა
6. გეგმის პროექტის ქსს-თან შეთანხმება (ელექტრონულად ან სხდომაზე)

## ფაზა III

1. სტრატეგიული გეგმის საბოლოო ვერსის შემუშავება დეტალური ბიუჯეტით
2. სტრატეგიული გეგმის დოკუმენტის თარგმანის უზრუნველყოფა ინგლისურიდან ქართულ ენაზე
3. საბოლოო დოკუმენტის წარდგენა PAAC-ისა და ქსს-სთვის